საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1886
20/03/2023

1886-21-2-202303201444

სს „ენერგო პრო-ჯორჯია გენერაციას“
მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №24
ელ. ფოსტა: mariam.mchedlishvili@energo-pro.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №548 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ქვესადგურის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში აღწერილი არ არის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ზეთშემკრები სისტემის ფუნქციონირების პროცესი, თუ როგორ უზრუნველყოფს ავარიის შემთხვევაში ზეთის სრული მოცულობისა და დაღვრილი წყლის უდანაკარგოდ მოხვედრას მიწისქვეშა ზეთშემკრებ რეზერვუარში (შესაბამის სქემაზე დატანით);
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხანგრძლივობა და გამოსაყენებელი ტექნიკა;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახეებისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულია ქვესადგურის ტერიტორიაზე ატმოსფერული წყლების შემკრები სისტემის აღდგენა/განახლება, თუმცა, დოკუმენტში აღნიშნული შემკრები სისტემის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის (შესაბამის სქემაზე დატანით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო